№ 187
1877

ივერია

№ 187
1903

სექტემბერი 3, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სექტემბერი 3, ოთხშაბათი 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ სექდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

სამშაბათს, 9 სეკდემბერს, დილის 11 საათზედ, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ნატალია ალექსანდრეს ასულის ხოფერიას

სულის მოსახსენებლად სოფ. შხეფს, მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, რასაც მამა მისი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ხოფერია აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ.

(2—1)

სპილენძის მადანი

სურს იყიდოს საფრანგეთის კომპანიამ. ვისაც გასაყიდი აქვს, მიჰმართოს ამ ადრესით: Paris, rue Meslay 41, M. J. Champol.

(5—6—3)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ მის აგენტს სოსიკო მერკვილაძეს ქ. ქუთაისში შაბათს, 23 აგვისტოს

დაეკარგა

ქართ. დრ. საზოგადოების საწევრო საკვიტანციო წიგნაკი № 6, რომელშიაც 24 ბარათია, მხოლოდ პირველი-კი ამოჭრილია და კუპონზედ აწერია—მიტროფანე ლოლიძე.

გამგეობა უმორჩილესადა სთხოვს, ვინც იპოვნოს, გადასცეს მიტროფანე ლოლიძეს, ან გამოგზავნოს ტფილისში ქ. დრ. საზოგადოების სახელზედ.

(3—უ—3)

გამოვიდა და ისყიდება

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.

ისყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—5)

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელ მისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6 იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. (10 6—8)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2$ -8 ს.

ს. ტ. ასვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

❀❀❀ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი დღეს თავის სასახლეში მთხოვნელებს ინახულებს.

❀❀❀ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს კავკასიაში აგრონომების შტატი გაადიდოს და ამასთანავე გააფართოვოს და გაამრავლოს საცდელი მინდვრები და სამეურნეო სადგურები, რათა ამრიგად გაავრცელოს ხალხში სამეურნეო ცოდნა.

❀❀❀ ამავე სამინისტროს დეპარტამენტს გამოუგზავნია აქაურ სამეურნეო საზოგადოებისათვის პროექტი იმის შესახებ, რომ ჯეროვანი თვალყური ადევნონ ღვინის კეთებას, რათა მავნებელი რამ არა ერიოს-რა. ეს პროექტი სამეურნეო საზოგადოებამ 15 ოკდომბრამდე უნდა განიხილოს და თვისი აზრი წარუდგინოს აღნიშნულ დეპარტამენტს.

❀❀❀ გუშინ ტფილისის გუბერნიის სამმართველოს ტეხნიკოსებმა დაათვალიერეს თავად-აზნაურთა თეატრი, სასახლის ქუჩაზე, და შენობა ისე მკვიდრად იცვნეს, რომ წარმოდგენების გამართვას არა დაუშლის-რა.

❀❀❀ ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის სახლს აფართოვებენ, რადგან მოსწავლეთა რიცხვმა უნდა იმატოს. ინჟენერების გამოანგარიშებით ახალ შენობებს დასჭირდება 250,000 მანეთი.

❀❀❀ კავკასიის მთავარმართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს 1,000 მანეთი შეუწირავს ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის სკოლისათვის. ამ სამოსწავლო წლიდგან ბოდბის დედათა სასწავლებელი 7 კლასიან სამასწავლებლო სკოლად გადაკეთდება. ამნაირი სასწავლებელი დღემდე მხოლოდ ერთი იყო მთელს რუსეთში.

❀❀❀ ინგლისის საერო განათლების დეპარტამენტი ჰგზავნის კავკასიაში მეცნიერს ბ-ნ ბეკკერს, რომელიც აქაურ სასწავლებლებს დაათვალიერებს და დააკვირდება, რა სისტემით ასწავლიან აქ სხვა-და-სხვა საგნებს.

❀❀❀ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ახლად დაუბეჭდია ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში გამოსადეგი, სახელად „კოკორი“; ფასი ორი შაურია.

❀❀❀ მოსკოვის ეტნოგრაფიულ განყოფილებასთან სამუსიკო განყოფილება არსებობს, რომელიც მალე შეუდგება თავის წევრთა ნაშრომის ბეჭდვას. პირველ გამოცემაში დაბეჭდილი იქმნება რუსული და ქართული სიმღერები. სხვათა შორის დაიბეჭდება 28 ქართული სიმღერა, ბ-ნ დიმიტრი არაყიშვილის მიერ ნოტებად დაწერილი.

❀❀❀ გაგრის სამცენარეულოთა გამოფენის გამგე კომიტეტი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გამოფენის დროს კონკურსი იქმნება მცენარეულობათა ჯგუფისა, ქვლებისა და ბაღჩებისა. ვინც უფრო ხელოვნურად მოაწყობს თავის მცენარეულობას, იმას ჯილდო მიეცემა.

❀❀❀ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას უკვე გადუსინჯავს და შეუვსია ბ-ნ ვ. გუნიას მიერ შედგენილი კალენდარი მომავალ წლისათვის, ერთი წიგნად და ერთიც კედლისა. ორთავე კალენდრის ბეჭდვას მალე შეუდგებიან.

—

ქალაქის საბჭო, 1 სეკდემბერი. კრება დანიშნული იყო საღამოს $7^1/_2$ საათზე და ძლივს ცხრის ნახევარზე დაიწყო. ხმოსნები თითქმის მთელს ზაფხულს ისვენებდნენ და საქმიანობას გადაჩვეულან. ამ პირველ კრებაზედ მომეტებული ნაწილი თითქო ეკალზე ზისო, ვერ ისვენებდა და სულ კარისაკენ იყურებოდა. ხან ერთს გააჩერებდა ქალაქის მოურავი და ხან მეორეს, გარედ მიმავალს. კიდევ კარგი, რომ განსახილველ საქმეებში თავის სამტვრევი არა იყო რა, თითქო განგებ შეურჩევიათ ასეთი ადვილად გასაგები და უფრო ადვილად მისაფუჩეჩებელი საგნები. ბევრი ილაპარაკეს ბ. მდივანის მოქმედების შესახებ, რომელმაც ძველი სახლი დაანგრია და ახალს იშენებს გოლოვინის პროსპექტზე, შიოევისეულ სახლის მეზობლად. როცა ბ-ნ მდივანს ძველი კედელი აუღია, შიოევისეული სახლი, სადაც ზამთრობით „კრუჟოკია“, დაზიანებულა. ამ ამბავმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბ ნი მდივანი ყურსაც არ იბერტყავს და ქალაქის წარმომადგენელნი-კი ვერ ისვენებენ. როგორც ეტყობა, საქმე სასამართლომდე მიაღწევს.

ქალაქის საბჭო დიდი ხანია შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ ავლაბარში პროგიმნაზია დაარსდეს და თავის მხრი ჰპირდება ყოველ წელს 10,000 მანათს. საერო განათლების უწყება სამჯობინოდა ჰხედავს სხვა გვარი სასწავლებელი დაარსოს ავლაბარში, ხოლო ხარჯი ქალაქის მხრივ ბევრით მეტი დასჭირდება. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა კვალად იშუამდგომლოს, რომ ავლაბარში პროგიმნაზია დაარსდეს და ისევ 10,000 მანათსა ჰპირდება ყოველ წლივ. უკეთუ პროგიმნაზიისათვის საჭირო სახლის დასაქირავებლად 2000 მანათმა არ იკმარა, ქალაქი ჰპირდება კიდევ 1,000 მანეთს წელიწადში.

ქალაქის გამგეობას ვრცელი მოხსენება დაუბეჭდია შესახებ იმისა, რომ ქალაქი სრულიად განთავისუფლებულ იყოს პოლიციის შესანახ ხარჯისაგან. უმთავრესი მიზეზი ქალაქის შუამდგოლობისა მთავრობის წინაშე ის არის, რომ პოლიცია მხოლოდ ქალაქისთვის-კი არ არის საჭირო, არამედ მთლად სახელმწიფოსთვისაო, და მეორეც კიდევ ისა, რომ ქალაქს სალსარი არა აქვს თავისი საჭიროებანი დააკმაყოფილოს და ქალაქი გასწმინდოს, გაალამაზთიანოს. ხარჯი ყოველ წელს მატულობსო, მისი შემცირება შეუძლებელია, და შემოსავალის მომატება-კი არას გზით არ შეიძლებაო. ეს მოხსენება, თუმცა ერთმხრივ, კარგად არის შემუშავებული და დასაბუთებული, როგორც ქალაქის ინტერესები მოითხოვს. საბჭომ ქალაქის მოურავს მიანდო შუამდგომლობის აღძვრა, რათა პოლიციის ხარჯი სრულიად ასცილდეს. სხვა საგნები უფრო კერძო ხასიათისა იყო. კრება $11^1/_2$ საათზედ გათავდა.

საუბარი სახალხო სკოლების შესახებ

(ბ-ნ ივანე როსტომაშვილის წერილის გამო).

ჯერ-ჯერობით შეუფერებელი მოთხოვნილებაა, რომ სახალხო სკოლის მასწავლებელი იყოს კარგი სახალხო მასწავლებელი და იმავე დროს, როგორც რუსები იტყვიან—„и жнецъ и швецъ и въ дуду игрецъ“, შეუძლებელია რომ სახალხო მასწავლებელმა ყველაფერი საკმაოდ იცოდეს. გარდა ამისა ჩვენებურ ერთკლასიან სახალხო სკოლის მასწავლებელმა, კარგადაც რომ იცოდეს ყველა დარგი მეურნეობისა, მაშინაც მოუხერხებელია და უსარგებლო ამისთანა სკოლებში, ოთხი წლის კურსიც რომ ჰქონდეს, შეიტანონ სამეურნეო საგნების სისტემატიური სწავლება და მოაწყონ ეს საქმე ისე, რომ არა ევნოს-რა წერა-კითხვისა და საზოგადოდ განათლების სწავლების საქმეს და მეურნეობა მრეწველობიდანაც შეიძინონ რამე გამოსაყენებელი და დამთავრებული ცნობანი. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ყოველ გვარი ცოდნა და მათ შორის პროფესიონალური განათლებაც ყოვლად სასარგებლოა: ცოდნა მატებს ადამიანს, როგორც ნივთიერს, ისე სულიერს სიმდიდრესაც. მაგრამ ამისთანა თვისება აქვს მხოლოდ ნამდვილს ცოდნას ე. ი. სისტემატიურად შეძენილს სწავლას. განა შეუძლიან სახალხო მასწავლებელს გადასცეს ხალხს ამისთანა დასრულებული, მთელი და სისტემატიურად მოწყობილი სწავლა-მეცნიერება სხვა-და-სხვა სამეურნეო საგნებისა, იმ მასწავლებელს, რომელსაც ორთაშუა რიცხვით 60—70 მეტი მოწაფე აბარია, რომელთაც ყოველთ უწინარეს უნდა მისცეს ელემენტარული საღი საზოგადო განათლება?! ამას გარდა, სახალხო მასწავლებელი, როგორც სამართლიანად შენიშნავენ საუკეთესო პედაგოგები—„მანამდის რჩება სახალხო მასწავლებლად. სანამ განაგრძობს თავისს სწავლას“—ე. ი. ადგას მუდმივ თვითგანვითარებისა და სწავლის შეძენის გზას. მაშასადამე, ყველა სახალხო მასწავლებელს, ვისაც ეს რთული მოვალეობა უკისრია, ესმის და ნათლად აქვს წარმოდგენილი თვისი მოვალეობა, სკოლაში მეცადინეობის გარდა, კიდევ სკოლის გარეშე მეცადინეობასაც უნდა მისდევდეს, რომ პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა და არ გაირიყოს, არ შესდგეს ერთს წერტილზე. ამის შემდეგ როდის მოასწრობს იგი სისტემატიურად სამეურნეო ცოდნის გავრცელებას ხალხში? საკვირველიც არ არის ამის შემდეგ, რომ ის მოთხოვნილება ზოგიერთებისა, რომ პირველ დაწყებითი სახალხო ერთკლასიანი სკოლაც ავრცელებდეს ხალხში და სახალხო სკოლის მოწაფეებში სხვა-და-სხვა პროფესიონალურ ცოდნას, სრულიად უნაყოფოდ რჩება ზევრგან და ზარალს აძლევს მხოლოდ საზოგადო სკოლის პროგრამის შესრულებას, საზოგადო ელემენტარულ განათლების საქმეს, რომელიც უნდა შეადგენდეს მთავარს და ქვაკუთხედ საგანს ყოველის პირველ დაწყებითის ელემენტარულის სასწავლებლისას.

მივაქციოთ ყურადღება მარტო მეურნეობის გავრცელებას ხალხში. ამისთანა ცოდნის გავრცელების სარგებლობა ყოველს ეჭვს გარეშეა და ჩვენის ხალხისათვისაც აუცილებლად საჭიროა, რადგანაც სამეურნეო ცოდნას მოკლებული ხალხი ვერაოდეს ვერ წარუძღვება გონივრულად მეურნეობის საქმეს. მაგრამ გონივრულად მეურნეობის საქმის წაყვა-

ნაც ადვილი საქმე არ გახლავსთ, ამისათვის ბევრი და ძალიან ბევრია საჭირო იცოდეს კაცმა, რაც შეუძლებელია შეიძინოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბრებიდგან. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტ სწავლა-მეცნიერების ნაცვლად უნდა გადასცეთ უნებლიედ ცოდნის ნაწყვეტები, რომელთაც ვნების მოტანა უფრო შეუძლიან, ვიდრე სარგებლისა. ამას წინად ერთს საპედაგოგიო კურსებზედ ერთი გატაცებული მოტრფიალე იმ აზრისა, რომ სოფლის მეურნეობა ვრცელდებოდეს ხალხში სოფლის მასწავლებლის შემწეობით, მთელი საათ ნახევრის საუბარში ცდილობდა გადაეცა მაყურებელთათვის ცნობები მწველელ საქონლისა და ჯაფის ამტან საქონლის ჯიშის შესახებ, მაგრამ რა შედეგი მოჰყვა ამ საუბარს?—სხვა-და-სხვა ნაწყვეტები, სრულიად გაუგებარი, უსისტემო ნაფლეთები ცოდნისა, რომელიც საუბრის გათავების შემდეგ საპნის ბუშტებივით გაჰქრენ მსმენელთა მეხსიერებიდგან, საკვირველიც არ არის, რომ საათ-ნახევრის განმავლობაში სოფლის მასწავლებლებმა ვერ შეიგნეს საფუძვლიანად ვერც კარგი ჯიშის მწველელი ძროხების და ვერც ჯაფის ამტანი საქონლის გამოცნობა და თვისებანი, რადგანაც ყველა ამისათვის საჭიროა სწავლა, სერიოზული სწავლა, საჭიროა სწავლა მეცნიერების მთელი დარგისა.

სახალხო მასწავლებლის მიერ პროფესიონალური ცნობების გავრცელებით გატაცება არა ერთხელ გაკიცხული იქმნა ამ საგნის სპეციალისტების მიერ. ამ აზრის დასასაბუთებლად ჩვენ მოვიყვანთ ამ რამდენიმე წლის წინად მოსკოვში გამართულ სრულიად რუსეთის ტეხნიკურ და პროფესიონალურ განათლების სპეციალისტთა კრების დადგენილებას. იმ საკითხის გამოსარკვევად—შეტანილ იქმნას სახალხო სკოლის პროგრამაში ტეხნიკურ და პროფესიონალურ საგნების სწავლება და მათ რიცხვში სამეურნეო ცოდნაც თუ არა, შედგენილი იქმნა სამი სექცია: სექცია საზოგადო კითხვებისა, სექცია სამეურნეო განათლებისა და მესამე—სექცია ხელით შრომისა (ручного труда). რა გამოვიდა აქედგან? თვით სპეციალისტებმა კითხვაზედ —„სასურველია თუ არა დაევალოს სახალხო მასწავლებელს სკოლის გარედ გავრცელება სამეურნეო ცოდნისა“—უმეტესობამ უპასუხეს: „არა, არ არის სასურველიო“. ამავე კრებამ დაადგინა, რომ იქ, სადაც მოსახერხებელი იქნება სისტემატიური კითხვების გამართვა, საჭიროა კითხვებს ჰიგიენიდგან უმართავდეს ექიმი, სამეურნეო საგნებიდგან—აგრონომებიო, ერთის სიტყვით წაღას მეწაღე კერავდეს და პურს მეპურე აცხობდესო; ხოლო სახალხო მასწავლებელი უნდა ასწავლიდეს წერა-კითხვას და სხვა საზოგადო საგნებს და განავითაროს ბავშვების გონება იქამდის, რომ ბოლოს ადვილად და სრულად შეეძლოთ თავისთავადაც წიგნების კითხვით საპროფესიონალო და სამეურნეო ცნობების შეძენაო, რომელსაც უსათუოდ წინ უნდა უძღოდეს შესაფერისი საზოგადო განათლებაო.

რაც შეეხება ხელით შრომის მნიშვნელობას სახალხო სკოლებში—ჩვენ გვახსოვს სხვათა შორის ერთი ღირს შესანიშნავი ლექცია, ამ საგნის შესახებ წაკითხული ბ-ნის კასატკინის მიერ სრულიად რუსეთის გამოფენაზედ ნიჟნი-ნოვგოროდში, მთელი რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხიდგან მოსულ სახალხო მასწავლებლებისა და ინსპექტორ-დირექტორების თანადასწრებით. ბ-ნი კასატკინი, დასავლეთ ევროპის სკოლების მიხედვით, სასურველად ჰხდიდა ამ საგნის სწავლების შემოღებას სახალხო სკოლებში, მაგრამ არც ეკონომიური მდგომარეობა სოფლის სკოლისა, არც მოწაფეთა წლოვანება ამ სკოლებში ნებას არ იძლევა, რომ ყოველგან შემოღებული იქმნას ხელით შრომის სწავლებაო, რომელიც ლექტორის აზრით შესაძლებელია მხოლოდ ექვს კლასიან საქალაქო სკოლებში და ზოგან ორ კლასიან სკოლებშიც და ისიც განსაკუთრებით „въ воспитательныхъ цѣляхъ, а не въ меркантильныхъ или въ цѣляхъ ремесленнаго образованія“. ასეთივე აზრი წარმოსთქვეს უმრავლესობამ სახალხო მასწავლებელთაგანაც, რომელთაც განაცხადეს, რომ—„школа должна остаться школой т. е. стремиться дать общее образованіе и не увлекаться побочными задачами“.

ლ. ბოცვაძე

(შემდეგი იქნება)

სვანეთში ორი კვირით

(შემდეგი *)

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ აფხაზეთის პირველმა მეფემ ლეონმა, რაკი ბერძნების ბატონობა მოიშორა თავიდგან, საკუთარი აფხაზეთის საკათალიკოზოც დააარსა; აი ამ დროს გაძლიერდა სვანეთში ქრისტიანობა და ბაგრატ III-დან (X საუკ.) დაწყობილი XVI საუკუნემდე ხომ მეფეები დიდათ ეფერებიან სვანებსა. საერთო მტრებთან მებრძოლ ქართველთა ლაშქარში სვანებს კარგი ხმა ჰქონდათ და გამარჯვებულნი მეფენი გულუხვად აჯილდოვებდნენ სვანების გარჯილობასა: ძველადგანვე ბრძოლის ველზე დამარცხებული მტრის დანარჩენი ქონების ნახევარი მოლაშქრეებისა იყო. ამას გარდა მეფეები ძვირფასი ხატებით ასაჩუქრებდნენ და ერთგულობაზე აფიცებდნენ.

ამ მხრივ კარგ საბუთებს გვაძლევს სვანური სიმღერების ტექსტი, რომელთა კილო წმინდა ქართლ-კახურია, ბანი და მოძახილიც-კი აქაურია. თამარ მეფის საფლავი არა აქ არის, არა აქაო, ეცილებიან ერთმანეთს უშკულელები და კალელები. ცაგერის მღვდელთ-მთავარნი სათუთად ჰპატრონობდნენ სვანეთში ქრისტიანობასა, მაგრამ XVI საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში გაძლიერდნენ ოსმალნი, ხელთ იგდეს საკუთრივ აფხაზეთი, აჭარა-ლაზისტანი და აი ამ დროიდგან შეირყა ქრისტიანობა სვანეთში.

კავკასიის მთიულთა შორის, რასაკვირველია, სვანეთშიაც დარჩა ხელშეუხებლად უძველესი ჩვეულება გვართა შორის ბრძოლისა: გვარი გვარს ებრძოდა მცირე რამეზე და სამართალი ძალაზე იყო მივარდნილი: ვისაც ძალა, მოხერხება შესწევდა, სამართალი იმისკენ იყო; ამიტომ მებრძოლთაგან ერთ-ერთი უნდა განადგურებულიყო და თუ გადარჩებოდა ვინმე დამარცხებულთაგან, მხოლოდ იმიტომ იცოცხლებდა, რომ დახოცილ მამა-ძმათა სისხლი აეღო მჩაგვრელთაგან. ამიტომ სვანეთის თვითოეულ სოფელში ერთი გვარის შთამომავლობა სცხოვრობს. თავის დასაცველად ძველიდგანვე სვანებს დაუწყვიათ საომარი ციხე-კოშკების შენება. ზოგ სოფელში დღეს ციხეები მეტია სახლებზე. ს. ბოღრეშის ზევით ასე სამი ვერსის მანძილზე, მდ. ინგურის ზედ მარჯვენა ნაპირზე ერთი სვანი სცხოვრობს განმარტოებით და გვერდით, შიგ წყალში უშველებელ კლდეზე მშვენიერი ციხეა აშენებული. მებრძოლი გამაგრდებოდა კოშკში და იგერიებდა ასაკლებად მოსეულს მტერსა. გაჭირვება აერთებდა რამდენსამე გვარს ერთად მტრის მოსაგერებლად და ამისათვის ერთმანეთს ფიცსა და პირობის წერილებს აძლევდნენ. ამისთანა წერილებით სავსეა ტყავზე ხელნაწერების არშიები სვანეთში.

მთელი XVII და XVIII საუკუნოები დასავლეთ საქართველოში მოუნდა უფრო ძმათა შორის სისხლის ღვრასა, შინა გამცემელთაგან ქვეყნის აოხრებასა; 1810—1860 წლამდე აბა ვისა სცალოდა სვანეთისათვის? 1841 წ. ქუთაისში ჩამოვიდა მულახიდგან 50 წლის დადაშ ქურდიანი და მოინათლა. წავიდა, იყიდა ერთი ობოლი პატარა ბიჭი (გიორგი გულბანი), ჩამოიყვანა ქუთაისში და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა; სწავლა გაათავებინა და მღვდლად აკურთხებინა; 1853 წელში იმის მეტი ნაკურთხი მღვდელი არავინ იყო სვანეთში. ამავე ქურდიანის მეოხებით 1853 წ. გაზაფხულზედ შვიდი სვანი ჩამოვიდა ბორჯომში და თ-დ ვორონცოვს სთხოვეს—გთხოვთ დაგვნათლოთო. ესენი იყვნენ იფარიდან—სოლომან ქურდიანი, მუჟალიდან ყაზიმულათ შარაშიძე, მულახიდან დადაშ ქურდიანი ორი შვილით, გელა იოსელიანი, სიმონ დევდარიანი. დანათლეს კიდეც სამკურნალო წყლების შენობაში, შავი წყლის პირზედ ივლისის დამდეგს. ნათლიებათ თ-დი ვორონცოვი, მისი მეუღლე და სხ. დიდკაცნი იყვნენ. დადაშ ქურდიანს ძალიან გადაემტერნენ პაპები: აბა, რა ხეირს დააყრიდა ნაკურთხ მღვდელთა გამრავლება საკოდავებს?

იმ ხანებში სვანეთის გამგებლად თ-დი გრიგოლ წერეთელი იყო. ამან დაიბარა მუჟალიდგან გავლენიანი გლეხი მურზა აფის ძე (აფი პაპად იყო) მარღიანი და თან გამოატანა—ს. მუშკერის მღვდელი გიორგი გულბანი, ს. მთავრარის მღვდელი ადამ ქარდავა და დუშეთელი დიაკვანი შიო(?) სვანეთში უწინამძღვრე და თანა სდიეო. მესტიაში რო წაიყვანა იგინი მურზამ, აქ 23 აპრილს წინ დაუხვდნენ მესტიელი ჯაფარიძეები და თოფის სროლა დაუწყეს; მურზა დასჭრეს, მაგრამ დაჭრილმა მურზამ ერთი მოკლა და ორი დასჭრა. გაჯავრებულებმა მურზა მოკლეს და მკვდარი არ დაანებეს მის შვილს გიორგი მარღიანს *), ვიდრე ულელი ხარი არ წაართვეს. ბოლოს აზნაურის სისხლი აზღვევინეს, როგორც გლეხს, ორას ოცი თუმანი. 1855 წ. უკვე პაპი გიორგი მარღიანი ჩამოვიდა ქუთაისში სწორედ იმ დროს, როცა კონსტანტინე დადიშქელიანი უნდა დაეხვრიტათ. ეგზარხოსმა ისიდორემ გაბრიელ ეპისკოპოზს ჩააბარა, მოამზადეს და 1867 წ. აკურთხეს მღვდლად. დღეს ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსეა და ორი შვილი მღვდელი ჰყავს, მესამესაც ამზადებს.

1847 წლამდე სვანებმა არც-კი იცოდნენ, რუსები ვინ იყვნენ, ან მათი მთავრობა რა იყო. 1847 წ. პირველად იმგზავრა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორმა კოლიუბაკინმა და შვიდი საზოგადოება დაუმორჩილა რუსთა მთავრობასა. ამიტომ ბოქაულად დანიშნეს პორუჩიკი თ-დი მიქელაძე, რომელიც იმ ზამთარს დარჩა სვანეთში და ორი საზოგადოებაც მან დაუმორჩილა რუსეთსა. დარჩა ლატალი და ლენჯერი.

1853 წ. ივლისის გასულს—აგვისტოში პოლკოვნიკმა ბართლომეიმ იმგზავრა და ლატალ-ლენჯერიც ამან შემოუერთა რუსეთსა. *)

ხოლო 1860 წ. სეკდემბერში სვანეთში იმგზავრა განსვენებულმა დ. ზ. ბაქრაძემ.

1812 წ. საშინელი ჭირიანობა მოედო სვანეთსა და დიდი ხალხი იმსხვერპლა. ადიშში და იელში მთელი სოფლები ამოსწყდა.

დღეს სვანეთში 12 ათასი მცხოვრებელი ითვლება; სვანები დღემდე თვით სამართლობენ ძველებურ წესზედ და ახალ მოსამართლეებს ზედაც არ უყურებენ.

სვანეთი ეკონომიურად დიდს გაჭირვებაშია დღეს. ხშირად ნახნავ-ნათესს მოსავალს თოვლი უსწრობს; სამყოფი სახნავ-სათესი მიწები არსად არის, საბოსტნე ადგილი ხომ სანთლით საძებნელია; სათიბ-საძოვარი ადგილები ნახევარიც არ არის. ამიტომ შინაური პირუტყვიც ძალიან ცოტა არის სვანეთში. ოთხი თვე გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომაა აქ, რვა თვე ნამდვილი ქარ-ბუქიანი ზამთარი და ამ დროს ბეწვი-ხიდა გზებიც ხომ სრულიად შეკრულია.

მოკლე ზაფხულში სვანები სამუშაოდ გადადიან—რაჭაში, სამეგრელოში, იმერეთში, ჩეღემში და სხ. შინ რჩებიან დედაკაცები, მოხუცნი და ბავშვები. ამიტომ მოსავლის მომკა და შინ მოზიდვა დედაკაცებს აწევს კისერზედ. ლატალ-ლენჯერში ხშირად ვხედავდით ხუთ-ექვს ქალს, ქერსა მკიდნენ, ძნას ჰკრავდნენ, და შინ ეზიდებოდნენ.

სარჩო-საზადებელს უფრო სიმინდს, სვანი გარეთა ყიდულობს და მოაქვს. ცხენის ქირა ექვსი-შვიდი მანათია ცაგერამდე. ერთი ცხენი ოთხ ფუთზე მეტს ვერ გადაიტანს მთაზედ. ფუთს სიმინდს ყიდულობს ოთხ აბაზად და მეტადაც. ახლა იანგარიშეთ კაცი და გამოვა, რომ საცოდავ სვანს ფუთი შინ მიტანილი სიმინდი სამ მანათზე ნაკლებ არ უჯდება. თვითოეული კომლი სვანეთში იხდის სახელმწიფოთ ცხრა აბაზსა წელიწადში.

მღ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ივერია“ № 168.

*) პაპად იზრდებოდა იმ დროს; შემდეგ პაპობა მისცეს სვანებმა და დღეს მუჟალში მღვდლად არის.

*) იხ. Записки кавк. отд. Импер. Геогр. общ. кн. III 1855 г.

ჩვენებური ამბები

სოფ. შილდა (თელავის მაზრა). ჩვენი სოფელი კარგა მოზრდილი სოფელია. ღვინის მოსავალი დიდი იცის. ბევრიც მიაქვთ აქედან ღვინო საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეს. უგზოობამ-კი სწორედ სული ამოგვართვა: ოღრო-ჩოღრო, ქვარიყიანი, ვიწრო და წუმპე-ტალახით სავსეა გზები. სიმშრალეში კიდევ არაფერი, ხოლო თუ ავდარია, ცხენითაც ვერ გაივლის კაცი. ორი ურემი რომ შეეყაროს ერთმანერთს, გზას ველარ აუქცევენ.

აქეთ სახლების მტვრევა გახშირდა.

დ. ომანიანთი.

—

ს. ტინისხიდი (გორის მაზრა). ეს სოფელი სძევს გორიდგან ვერს-ნახევარ მანძილზედ, ლიახვის მარჯვენა ნაპირას. შიგ მცხოვრებნი ნახევარი ქართველია, ნახევარი—სომეხი. პურის მოსავალი აქ საერთოდ კარგი იცის, მაგრამ წელს-კი აქაც უჩივიან გამოუსავლობას.

ხალხი მისდევს ბოსტნეულობას: ბლომად მოჰყავთ, სხვათა შორის, კომბოსტო, გამოაქვთ გორში და ზოგს აქვე ჰყიდიან, ზოგს კიდევ ჰგზავნიან აქეთ-იქით რკინის გზით.

ხალხი ცოტად თუ ბევრად შეძლებულია: ბევრს ორ-სართულიანი სახლი აქვს, რამდენსამე ოთახში სცხოვრებენ, სოფელი-კი ძალიან უსუფთაოა.

ხილი: მსხალი, ვაშლი, გულაბი და სხვ. აქ ბლომად მოდის. გორელი მეხილეები გამოდიან, ჰყიდულობენ და გააქვთ გორში გასასყიდათ, ან ჰგზავნიან სხვა მხარეს.

საერთოდ გორის სიახლოვე სარგებლობას აძლევს. სამწუხაროდ, გზა არ უვარგა სოფელს: ლიახვზედ ხიდი არ არის,—უნდა უთუოდ რამე დაიქირაო და ისე გახვიდე,—რაც ხელს უცარავს ბევრს იქ გასვლის მსურველს. მართალია, ლიახვმა გაზაფხულზედ მოდიდება იცის და ხიდს მოიტაცებდა, სამაგიეროდ, ზაფხულში პატარა მოდის და შეიძლება მაშინ მაინც გაიდოს ხოლმე საცალფეხო ხიდი.

მაგრამ, რაღა ვთქვათ ლიახვზედ ხიდის გადებისა, როცა თითონ სოფლის გზაც გაუვალია კაცისთვის, თუ ან ცხენით, ან ეტლით არ არის,—გზაში ისეთი წუმპოები და ტალახებია ყოველთვის, ნაწვიმარია თუ არა. ამისი მიზეზი მართალია ის არის, რომ სიმინდებისა და ვენახების მოსარწყავი წყალი ამ გზაზედ გადადის, მ-

ფელეტონი

ნახული და გაგონილი

VI

შოთა რუსთაველი.

რუსეთის გამოჩენილმა სატირიკოსმა შჩედრინმა ერთს ნაღვლითა და გესლით შეზავებულს წერილში გულის კვნესითა სთქვა:

— მკითხველო, სადა ხარო?

მწერალი მწერლობს თავისთვის, მკითხველი კიდევ კითხულობს მის ნაწერებს. მორჩა და გათავდაო. არავითარი სულიერი კავშირი არ იკვანძება მათ შორის, არ ებმის ის უხილავი ძაფი, რომლის წყალობით გულის სიღრმიდგან ამონაკვნესი სიტყვა მწერლისა უნდა მოხვდეს მკითხველსა.

შჩედრინი ისე მოკვდა, რომ ვერ ეღირსა სანატრელის „მკითხველის“ ხილვას.

ჩვენში უარესობაა. აგერ ბ-ნი დუტუ მეგრელი რანაირად სწუხს: მკითხველი საზოგადოება-კი არა, თვით მწერალნიც არა გვყავსო და ჰფიქრობს, როგორმე გააჩინოს ეს ყოვლად საჭირო მოღვაწენი. გააჩენს თუ არა ავტორი მწერლებს იმ გზით, რა გზასაც დასდგომია, არ ვიცი, ის კი კარგად ვიცი, რომ ვინც ჩვენში ამ საპატიო პროფესიას დასდგომია და, შეძლებისა დაგვარად, უმსახურნია, დრო-გამოშვებით მაინც, ვერაფერ გუნებაზე ბძანდებიან.

მართალია, ჩვენ შჩედრინთან ფეხს ვერ გავჰქმავთ, მაგრამ იმის თქმისა არ იყოს, დიდი უბედურებაა „მარტოობა“ მწერლისა, მისის სულის ობლობა.

რით ინუგეშოს მწერალმა, თუ მკითხველი არა ჰყავს, სად მოიპოვოს და მოიკრიბოს ძალა უმადურისა და ძნელის შრომისათვის? ხომ მაჯა დაუდუმდა უმკითხველოთ, ხომ დაუჩლუნგდა გონება და კალამი ხელიდგან დაუვარდა?

— სამშობლოს სიყვარულმა მოგცეს ეგ ძალაო,—ამბობს ბ-ნი პეტრე უმიკაშვილი.

თქვენ პირს შაქარი, უმაგისოდ რა გაკეთდება, მაგრამ სიყვარული ქვა და კლდე ხომ არ არის?! სიყვარულს, ნამეტნავად სამშობლოსას, ზრდა და ლოლიაობა უნდა. ეს-კი არსადაა. ხელ-შეუწყობლად ისე ჩაქრება, როგორც წყალ დასხმული ცეცხლი.

დიაღ, მთქმელს გამგონე უნდა.

შარშან „დიდებულის მესხეთის“ წარსულის თვალის გადავლებამ მცირე სევდა არ აგვიშალა. ამ სევდით შეპყრობილმა საზოგადოებას მივმართეთ და ესა ვსთქვით: „ყველა ეს მკრთალი ნათელია იმ სავსე მთვარისა, რომელიც გამოსცა მესხეთმა პოეზიის სახით. ბედმა წილად მესხეთს არგუნა ერთი უდიდებულესთაგანი მსოფლიო პოეტთა შორის, შეუდარებელი და სხივოსანი, შოთა რუსთაველი, რომლის წყალობით ქართული პოეზია აღყვავდა და გაიფურჩქნა, ვით მაისის ვარდი, რომლის მეოხებით ქართული პოეზია გაბრწყინდა, ვით ვარსკვლავი და რომლის პოეზიამ „დილის ნიავივით“ დაჰბერა ქართულ ტლანქს და უგემურს შაირ-ლექსობას“...

„ერიც პურადი, მხნე, გულადი და დარბაისელი ჰყავდა მესხეთსა. ვის არ გაუგონია მშვენიერი თქმულება ხალხისა: „პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისაო“...

დღეს მესხეთს ვეღარ იცნობთ, აჩრდილი და ნატამალია წარსულისა. ჩონჩხია არის, ჩონჩხისთვისაც-კი ვერ შეგვიდარებია რუსთაველის, ბექასი და აღბუღას სამშობლო, ისე დაკნინდა მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ძველის ერთიანის საქართველოსი. დღევანდელი მესხეთი ერთი რაღაც შემზარავი, თვალ-გადუწვდენელი და უსამზღვარო სასაფლაოა. ქართველი მოგზაური, ქართულის ისტორიის ცოდნით შეიარაღებული, სწორედ დასნეულდება აუარებელ ნანგრევების ხილვით. დღევანდელ თვითოეულს სოფელს სამ-ოთხ ნასოფლარის ადგილ-მამული უჭირავს. ნასოფლარს რუსები „пустошь“-ს ეძახიან. ყურთა სმენა წაიღო სწორედ ამ „პუსტოშმა“, რომელიც ძალაუნებურად, მხოლოდ, სიკვდილსა და უბედურებას მოგაგონებს“...

საფარისა და ათაბაგთა პალატის ნანგრევთა ხილვით გულ ნატკენი მგზავრი დარდის გადაყრას ვერ მოასწრობს, რომ უფრო სამწუხარო გულ-სატკენს და სამგლოვიარო სურათსა ნახავს. ესაა სოფელი რუსთავი, ათასგვარ სიბინძურითა და სისაძაგლით სავსე. ერი ამბობს, რომ აქ დაიბადა შოთა რუსთაველი; ესაა მისი სამშობლო სოფელიო. გული ნაღვლით აგევსება, როდესაც წარმოიდგენ, რომ პარნასის ღმერთთა სწორის, გენიოსის სამშობლოს არე-მარე ასეთ, ენით გამოუთქმელ სიბინძურეს შეუპყრია. დღევანდელი რუსთავი ერთი უხეირო, ოთხ-ხუთ კომლიანი სოფელია, რომელსაც ამშვენებს მხოლოდ სასუქის უშველებელი ზვინები. რუსთავში ბინადრობენ ქურთნი, თუ თარაქამანი. ადამიანი ვერას გაიგებს იმათსას. მიწური სახლები ამ ყოველ კულტურას მოკლებულ ველურის ტომისა სულ მთლად ასახიჩრებს სოფლის სურათსა. ქალნი და კაცნი სოფლის შესაფერისნი არიან. იმდენი ჭუჭყი დასდებიათ პირსა და სახეზე, რომ თითქოს დაწყი-დაბადებიდგან იქვე, ახლოს მოდუდუნე მტკვრის წყალი მათ არ მიჰკარებიათო. ასეთია მათი სამოსელიც, დასტამბლად ქცეული. დღეს შოთა რუსთაველის მომხსენებელნი ეს ჭუჭყიანნი და პირუბანელნი თარაქამანი, თუ ქურთინები არიან!.. უბედურები, სიზმრადაც არ მოელანდებათ, თუ რა კაცის ნასახლარზე ბინადრობენ...

რუსთავი ტიტველ, ხრიოკის მთის კალთაზეა შეფენილი. წინ მშვენიერი, პოხიერი ველია დაცემული. პატარაა, მაგრამ ლამაზი. ორი არ მეგულება ამისთანა მომცემი და ნაყოფიერი ველი მთელს ამ მხარეს...

რუსთავის პატარა ველზე ერთად-ერთი პატარა გორაკია ამართული, თითქოს განგებ აქ ვიღასაც მიწა დაუყრიაო. სიმაღლით ორი-სამი საჟენია, სიგანეც სულ ათიოდე საჟენი ექნება. სწორედ ზედ გამოჭრილი ბექია ძეგლისათვის. აქ რომ შოთა რუსთაველს ძეგლი, ან ობელისკი დაედგას, მშვენიერება იქნება. ბექი მტკვარს ზედ თავზე დასცქერის, იქვე შარა გზაა, შოსსე. გამვლელ-გამომვლელი თვალს ვერ აარიდებს ძეგლსა, ისიამოვნებს იმ ფიქრით, რომ შვილნი უმადურად არ მოჰქცევიან სახელოვანს მამას და იმასაც ხომ გაივლებს გულში, რომ გავერანებული მესხეთი ოდესმე ბედნიერი ყოფილაო...

ნუ თუ დღევანდელი ქართველი ისე დაკნინდა, ისე დაძაბუნდა, რომ მცირედი ფასის ძეგლიც ვერ მოუხერხებია შესანიშნავის პოეტისათვის? ერთმანეთის ძიძგნამ და ჭორიკანობამ სული ამოგვართვა და განა დრო არ დადგა ერთსულად მოქმედებისათვის? იცოცხლეთ, დროა ზურგი შევაქციოთ ჩვენს დამღუპველს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ განა არ იქნება რუები გაიჭრას და ესე მთელს გზას არ მოედვას წყალი?! გზაზედვე ორი ბოგირია, მაგრამ ერთი სულ დანგრეულია, იმაზედ გავლა ცალკე კაცსაც არ შეუძლიან, და მეორეც სახიფათოა ეტლისთვის გასავლელად, რაც ძლიერ აფერხებს იმათ, ვინც ტინისხიდში მიდის ხილის ან სხვა რამის სასყიდლად. ეტყობა აქაური მამასახლისი ამას ყურადღებას არ აქცევს და ამ გარემოებას სრულს ბუნებრივ მოვლენათა სთვლის. კარგი-კი იქნებოდა, რომ გაეკეთებინებინა ეს ბოგირები და გზაზედაც წყლისთვის რუები გაეჭრევინებინა, რომ უფრო ადვილი იყოს მგზავრთა მიმოსვლა, რაც მგონი უფრო კარგი იქნებოდა იქ მცხოვრებთათვისაც.

გუცა.

ს. ცერონისი (ქართლი). ამ სამი დღის წინად სამი ოსი ყაჩაღი და მათ შორის „ცნობილი“ ფირუზა ცხოვრებაშვილი დაეცნენ არტემას საწვრილმანო დუქანს. თითონ არტემა იქ არ იყო. ყაჩაღებმა დასჩხრიკეს დუქანი, ფული-კი ვერ იპოვნეს და საქონელი, რაც რამ თვალში მოუვიდათ, ყოველივე წაიღეს და არტემას დედა დასჭრეს, რადგან ფული არ გამოაჩინა. ამ ყაჩაღებს დაბრიყვებული ჰყავთ ებრაელები და ბარათით უგზავნიან ბრძანებას, ამდენი ფული ან ფარჩეული გამოგზავნეთო; ისინიც უგზავნიან.

ს. ატოცი (ქართლი). ერთის კვირის წინად ატოცსა და ს. ბრეძას შუა ყაჩაღები დაუხვდნენ ორს აბისელსა და ერთს საქშაქეთელ გლეხს და ოც-და-ცამეტი თუმანი ფული წაართვეს. საქონელი გაეყიდათ და ფული შინისაკენ მიჰქონდათ. ამბობენ ამ ავაზაკებში ფირუზა ცხოვრებაშვილიც ერიაო. ავაზაკებმა აიკლეს აქაურობა. შორს წასვლას ვერა ჰბედავენ და აქვე ახლო-მახლო სოფლებში იმალებიან თავის ნაცნობებსა და ნათესაობაში.

ქ. ქუთაისში 28 აგვისტოს, ვაჭრობა იყო სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკში დაგირავებულ მამულებისა, რომელთა პატრონებმა ვადაზედ გარდასახადი არ შეიტანეს. უნდა გაყიდულიყო 39 ქალაქისა და 60 სოფლის მამული, მაგრამ 29 ქალაქისა და 36 სოფლის მამულის პატრონებმა შეიტანეს გარდასახადი ვაჭრობის დაწყებამდე. გაიყიდა 7 მამული, 4 ქუთაისისა და 3 სხვა-და-სხვა დაბებისა. ბანკს დარჩა 3 ქალაქისა და 22 სოფლის მამული.

კავკასია

სწავლულ ოსებს 'განუზრახავთ საკვირაო გაზეთი დაარსონ კავკაზში. ეს პირველი დრო-გამოშვებითი გამოცემა იქნება ოსურს ენაზედ.

ქ. განჯა. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის თანაშემწემ კოჟინმა რევიზია მოახდინა განჯის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში და ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა. კანტორის უფროსს ბ-ნ სელევკოს სხვა-და-სხვა დროს გაუფლანგავს 13,000 მანათი. დამნაშავე სამსახურიდგან გადააყენეს და საქმე გამომძიებელს გადაეცა.

ქ. ყარსი. ერთს მიყრუებულ ვიწრო ქუჩაში. ყაზარმების უკან, ტანოევის სადგომში 29 აგვისტოს, რაღამაც იფეთქა და ოთხი სომეხი იმსხვერპლა, მათ შორის თვით სადგომის პატრონიც; ამასთანავე მძიმედ დაიჭრა რავდენისამე დღის წინად მისული ამერიკელი (?) ჯონ ნახიკიანი, რომელიც მალე გარდაიცვალა. როგორც აღმოჩნდა აფეთქებული ყუმბარა, რომელსაც ნახიკიანი დინამიტით სტენიდა. მის სადგომში 28 სპილენძის ყუმბარა იპოვეს და სხვა-და-სხვა წამლები, რომლითაც დინამიტი კეთდება. გამოძიება სწარმოებს.

პიატიგორსკიდან დეპეშით ატყობინებენ „ცნ ფურც.“, რომ იქ მიტროპოლიტმა ანტონმა გადაიხადა პარაკლისი და მეორე კრება დაიწყო კლიმატოლოგების, გიდროლოგებისა და ბალნეოლოგებისა, რომელსაც პრინცი ოლდენბურგსკი, მინისტრი ერმოლოვი და 800 წევრი დაესწრო. ტფილისიდან შვიდნი არიან, სხვათა შორის,—ექიმი ქიქოძეც.

რუსეთი

როცა ს. ვიტტემ ჩაიბარა რუსეთის ფინანსები 1893 წელს, სახელმწიფო ვალებში იხდიდა რუსეთი 264 მილიონს, ახლა, ამ ათის წლის შემდეგ ამ ხარჯმა იმატა და ავიდა 290 მილიონამდე.

— თუმცა პეტერბურგში ქალაქმა მრავლად დააარსა ახალი სკოლებიცა, მაგრამ წელს მაინც უარი ეთქვა უადგილობის გამო 1074 შეგირდს.

— უუწმ. სინოდის სამოსწავლო კომიტეტმა შეიმუშავა ახალი პროგრამები სემინარიებისათვის. შეამცირეს სწავლება ძველის ენებისა და მოუმატეს რუსულისა და სღვთის-მეტყველო საგნების სწავლებას, შეამოკლეს კურსი თითოეულის სამეცნიერო საგნისა ღვთის-მეტყველებისა და რუსულის ენის გარდა. ჰფიქრობენ განაკარგონ ნივთიერი მდგომარეობა სასულიერო უწყების სასწავლებლებში მსახურ თანამდებობის კაცთა.

— უმაღლეს სამხატვრობო სასწავლებელში დაიწყო ეგზამენები. ბევრმა ქალმა ითხოვა სასწავლებელში შესვლა, მაგრამ უარი უთხრეს, რადგან არ გაუთავებიათ პირველი კურსი უმაღლეს დედათა სასწავლებლისა ანუ სახუროთ-მოძღვრო განყოფილება პეტერბურგის სახელოვნობო სასწავლებლისა.

— სამთა-მადნო ინსტიტუტში კედელზე გამოკრულია ასეთი განცხადება: რადგან დანამდვილებით აღმოჩნდა, რომ X-მა არ დაიჭირა ეგზამენი ფრანგულში და მის მაგიერ სხვა იჭერდა, ვიღაც დაქირავებული კაცი, ამიტომ X-ი გამოირიცხა სიიდან და სხვა საგნებშიაც აღარ დააჭერინებენ ეგზამენს.

— ყირიმში დიდი მოსავალია თურმე ხილისა, ვაშლისა და მსხლისა. ფასი ნაკლები აქვს, მოთხოვნილება-კი დიდია. რკინის გზის სადგურებზედ ხილის ზვინები სდგას. დიდ-ძალს ხილს ჰგზავნიან ჩრდილოეთისკენ.

— ტომსკის უნივერსიტეტში ბევრად ნაკლები თხოვნები შესულა, ვიდრე ვაკანსიებია.

— კიევის გენერალ-გუბერნატორის დეპეშის ძალით, ჟიტომირის პოლიცმეისტერს ებრძანა დაუყოვნებლივ დაეთხოვოს სამსახური და თანამდებობა თვისი ჩააბაროს თავის თანაშემწეს. პოლიცმეისტერს სხვა-და-სხვა მძიმე ბრალი ედება.

— მოსკოვის მე-5 გიმნაზიის შეგირდებისათვის სეკდემბრიდგან იმართება პრაქტიკული კურსები ფრანგულისა და გერმანულის შესასწავლად.

— სეკდემბრის 26 სრულდება ათი წელიწადი ნიჭიერის პოეტის ა. პლეშჩეევის გარდაცვალების დღიდგან.

— 1905 წელს ეკატერინოსლავში დანიშნულია სრულიად რუსეთის საარქეოლოგო კრება.

— 26 აგვისტოს დაიწყო კრება რუსეთის ყველა რკინის გზების ინჟინერებისა, რომელნიც „გზის სამსახურს“ აცვიან (служба пути).

უცხოეთი

მაკედონია. როგორც მოგეხსენებათ, მაკედონელები იბრძვიან თავისუფლების მოსაპოვებლად და მონურად არა სურთ ქედი მოიხარონ „ბნელეთით მოცულ“ (ასე ეძახიან მაკედონელები) ხონთქრის მთავრობას. მეამბოხენი უმთავრესად ბულგარელები და ძველის სერბიის მცხოვრებნი არიან და მცირე ნაწილი—კუცო-ვლახებისა და ჩერნოგორელებისა. ოსმალეთის მთავრობა არავითარ ღონეს არა ჰზოგავს ოღონდ კი ცუდი ხმები გაავრცელოს მაკედონელებზედ, ჩირქი მოსცხოს მათს მოქმედებას და განარისხოს მათზედ ადგილობრივი მცხოვრებლები. ვასულ წლის შემოდგომასა და ზამთარში აჯანყება შესწყდა თითქო ჩაჰქრა კიდეც. რადგან მეამბოხეთ სათარეშო ომისთვის საჭირო სურსათი არა ჰქონდათ, გლეხებმა მიჰყვეს ხელი ხვნა-თესვას, აჰკრიფეს მოსავალი და კვლავ ელვის სისწრაფით იფეთქა ამბოხებამ

ოსმალთაგან გაავთრებულნი მეამბოხენი არავისა ჰზოგავენ, გარდა მშვიდობიან მცხოვრებთა, რომელნიც არ იბრძვიან მათ წინააღმდეგ. აგრეთვე მეამბოხეთა მთავარს კომიტეტს არა ერთხელ გამოუცია მანიფესტი და გაუფრთხილებია კომიტეტის წევრნი,—რაც შეიძლება ყოველი ღონე იღონეთ ქრისტიან მკვიდრთა დასაცველადაო.

— სტამბოლიდგან დეპეშით იუწყებიან: ბოსფორის შესავალში ინდიანთან, საკარანტინო ლაზარეთში იმყოფება 820 კაცი, მეამბოხეთაგან გადამწვარი ოთხი სოფლის მცხოვრებნი; მათ შორის 40 ბერძენია, ხოლო დანარჩენი—ოსმალი. ხონთქარმა გამოაცხადა,—ჩემ-ს ხარჯით შევინახავთო და ბრძანება გასცა,—ჩემის საკუთარის ხაზინიდგან 300 ოსმალური ლირა მიეცით ლტოლვილთაო. ამ ამბავს პირველად ყურადღება მიაქცია გერმანიის მაკედონიის საქმეებში რწმუნებულმა. მათ უამბეს გერმანიის რწმუნებულს, გამოვიქეცით შიშის გამო, რადგან ბულგარელებიცა და რუსეთის ფლოტიც გვემუქრებოდაო. ღამით ბულგარები თავს დაგვესხნენ და გადასწვეს ჩვენი სოფლებიო.

— სოფიიდგან დეპეშითვე იუწყებიან, აჯანყებულთა რაზმებს დღითი-დღე ემატებათ მეამბოხენიო. 23-ს აგვისტოს აქედგანვე გაემგზავრა დიდი რაზმი მაკედონიის აჯანყებულთა მისაშველებლადაო.

სარევოლიუციო კომიტეტი ირწმუნება—მაკედონიის მეგობარ უცხო სახელმწიფოთ განმათავისუფლებელს მოძრაობის სასარგებლოდ 200,000 ფრანკი შესწირესო.

განსვენებული რუსეთის ბიტოლიელი კონსული ა. ა. როსტკოვსკი თანაუგრძნობდა მეამბოხეთა მოძრაობას და მიტომაც მოუსპეს სიცოცხლეო. როგორც მკითხველებმა უწყიან, ის მოჰკლა ოსმალო ჟანდარმმა, ხალიმმა. ხალიმს ოსმალეთის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა; ახლა რუსეთის სტამბოლელმა ელჩმა ზინოვიევმა მოსთხოვა პორტას,—ხალიმის განსამართლებისა და განაჩენი მისი სიკვდილით დასჯის შესახებ ყველა ოსმალურს გაზეთებში იქმნას გამოქვეყნებულიო.

თვით ხონთქარმა აღარ იცის, რა ჰქნას, თავ დაკარგული ხან ერთს კუთხეს აწყდება და ხან მეორეს. ვერ მოუფიქრებია, როგორ გაარიგოს საქმე. ხონთქარს აღარა ჰსურდა თურმე რეფორმათა მთავარ ინსპექტორის ხილმი-ფაშის მაკედონიიდგან გაწვევა, თუმცა ამას დაჟინებით თხოულობდა ბალკანეთის საქმეებში ყველაზედ უფრო დაინტერესებული ორი ძლიერი სახელმწიფო; ჰფიქრობდნენ ხილმი-ფაშის გაწვევისათანავე მაკედონიაში ქრისტიან გუბერნატორს დანიშნავენო.

ოსმალეთის ყველა მოხელე დიდს ფაცაფუცშია და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ სტამბოლი და მისი მიდამოები, რაც შეიძლება, მტკიცედ იქმნას გამაგრებული. თუმცა ოფიციალურად უარ ჰყვეს ის ხმები,—ადრიანოპოლს გახშირებულია ქრისტიანთა ჟლეტაო, მაგრამ ადრიანოპოლიდგან ბულგარიას მისულნი ამტკიცებენ ამ ხმების სინამდვილეს. აჯანყებულთა რაზმი—100 კაცი იერიშით მივიდა სიმაგრეზედ, რომელიც ქალაქის შესავალსა და მიდამოებს იფარავდა. ოსმალთა ბანაკიდგან დაიწყეს ზარბაზნების სროლა. მთელს ქალაქს შიშის ზარი დაეცა. ოსმალები თავს დაესხნენ ქრისტიან მცხოვრებთ. ქუჩები საყასბოსა ჰგავს, ისე ჰყრია აუარებელი კაცის გვამი. ქალაქიდგან არავის არ შეუძლიან გარედ გავიდეს, რადგანაც ჯარი არტყია. ოსმალურ სოფლის ახლო-მახლო მიდამოებიდგან გამოწვეულ იქმნენ სათადარიგო მოლაშქრენი. ოსმალი ოფიცრები ამაყად აცხადებენ,—ბრძანებას ველით შევესიოთ ბულგარიას და ბალკანეთი დავიჭიროთო. ციკლიხორთან ბრძოლის დროს მეამბოხეთ ტყვედ წაიყვანეს რამდენიმე ოსმალი და წაართვეს 30 მაუზერის სისტემის თოფი პატრონებით, ჯარის კაცთა ფარაჯები და ჩექმები. სტოილოვოსთან და კალოვოსთან შებრძოლების დროს ოსმალები მეტად დამარცხდნენ; ს. გრამატიკოვოსთან შებრძოლების დროს ოსმალებმა ბევრი ჯარის-კაცი დაჰკარგეს დაჭრილი და მოკლული; ოსმალთა ურდო გაქცევასაც-კი აპირობდა, მაგრამ ახალი ძლიერი რაზმი მიეშველა და ხელახლა შეეტაკნენ მეამბოხეთ; ოსმალებს საქმე მეტად გაუჭირდათ; მიჰმართეს არტილერიას, მაგრამ მეამბოხენი გაიქცნენ თითქმის სრულიად უკლებლად. ხუთის დღის განმავლობაში ბულგარიის საზღვრებზე მდგომარე ოსმალეთის მხედრობა განუწყვეტლივ იბრძოდა. ოსმალები ძლიერ გამაგრდნენ თავიანთ პოზიციებში. უკანასკნელი ცნობები-კი იუწყებოდა, ოსმალთა ჯარის ერთი ნაწილი დაჰნებდა მეამბოხეთაო, ხოლო მეორე ნაწილმა ძველს პოზიციას თავი მიანებაო.

ბიტოლიიდან იტყობინებიან, სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ოსმალეთის ჯარი კიცენის მაზრაში უსაშინელეს ბოროტ-მოქმედებას ჰსჩადისო. ოსმალები ადგილობრივ მცხოვრებ ქრისტიანებს ფეხში ხელს მოჰკიდებდნენ და თავპირით მიწაზე ათრევდნენ, რის გამოც პირისახე და თავის ქალა დახოკილი და ნახევრად ტყავ-გადამძვრალი აქვთო. ადამიანის აუარებელი ხორცის ნაფლეთები ჰყრია წმინდა ღვთის-მშობლის მონასტრის მიდამოებში. ამოსწყვიტეს მრავალი ხალხი. ვინც ცოცხალი გადარჩა, მთებში გაიხიზნა. სკოპიაში ოსმალი ჯარის-კაცები შუადღისას შუა ქუჩაზე ადგილობრივ ქრისტიანთ თავსა ჰკვეთენ სხვების „შესაშინებლად“, რადგან „მეტად მოსწყინდათ გამოურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა“, როგორც თავად ამბობენ. ჯარის-კაცები დარწმუნებით ამბობენ, ნაბრძანები გვაქვს, ამ ხუთი-ექვსის დღის შემდეგ უნდა დავიწყოთ საზოგადო ჟლეტა ქრისტეანთაო. უკმაყოფილება და აღელვება ჯარის-კაცთა დღითი-დღე მატულობს, ასე რომ არამც თუ ქრისტიანები, არამედ მოქალაქენიც-კი ჰშიშობენ, ჩვენც არ დაგვლადრონ ყელებიო. სკოპიიდგან უკვე იხიზნებიან ბულგართა და ზოგიერთ ოსმალოთა ოჯახებიც. ადგილობრივ ოსმალებმა ისაკის მეჩეთში ყრილობა მოიწადინეს, რათა განესაჯათ,—რა მიმართულება მისცენ თავიანთ მოქმედებას და რა ღონისძიებანი იქმნას მიღებული ქრისტეანთა წინააღმდეგ. ყრილობაზედ გადაწყდა,—გაეგზავნოს ხონთქარს საჩივრის დეპეშა აწინდელ ამ ახლო მომავალში მაინც მათთვის მეტად საშიშო მდგომარეობის შესახებ. ოსმალებს შეუერთდნენ ადგილობრივი ბერძნებიც ბიტოლიელ ბერძენთა მიტროპოლიტის ამბროსის მეთაურობით. მეორე დღესვე მიღებულ იქმნა სტამბოლიდგან ხონთქრის მდივნის მიერ გამოგზავნილი საპასუხო დეპეშა, რომელშიაც ხონთქარი უთვლის ამბროსის,—ბრძანება მიეეცი, გაგზავნილ იქმნას ბიტოლიას ძლიერი ჯარი მეამბოხეთა გასანადგურებლადაო. საზოგადოდ აჯანყებულთა საომარი გეგ-

---

საეროვნო სენს, მაგრამ სადაა“!.. *)

წერილი შოთას შესახებ თავდებოდა ასეთის მოწოდებით: „სიყვარული კიდევ, როგორიც უნდა იყოს, მსხვერპლს მოითხოვს. უამისოდ სიყვარულს სიყვარული არ ეთქმის. მაშ, შევსწიროთ ისტორიის სიყვარულს მცირედი მსხვერპლი და აუგოთ შოთას რუსთავის ლამაზ ველზე პატარა ობელისკი მაინც!“

წელიწად ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დაიწერა და კრინტი, კრინტი რა არის, ისიც არავის დაუძრავს! ნუ თუ შოთა რუსთაველი ღირსი არ არის მცირედის ძეგლისა, ან ობელისკისა? სხვაგან მესამე ხარისხოვან მწერალთა, სამხედრო და საერო მოღვაწეთა ძეგლებით სავსეა მოედნები და ქუჩები, ჩვენ კი რუსთაველისათვისაც ვერ მოგვიხერხებია ძეგლის დადგმა.

მაშ, რამ აღზარდოს ეროვნული გრძნობა ახალთაობაში, რამ ანუგეშოს მოხუცთა თვალი, თუ რუსთველის სახესაც ყოველ დღე არ დაინახავს? ეროვნული გრძნობა, თავ-მოყვარეობა, სიამაყე, არც ჭიანი კაკალია და არც დამპალი ქანქური, რომ თავის თავად ზეციდან ჩამოვარდეს. პატრონობა უნდა, თორემ ისე გაითელება მთელი საქართველო, როგორც გაითელა შესანიშნავი ისტორიული მესხეთი, ეს საქართველოს ათინა. ეროვნულ გრძნობა-თავმოყვარეობის აღზრდა-გაფურჩქვნას კი ისე არა უწყობს რა ხელსა, როგორც დიდებულ წინაპართა ხსოვნა-მოგონება.

მართალია, საზოგადოებამ და მკითხველმა ყური მოიყრუეს ჩვეულებრივ, არ გაგვამხნევეს ეროვნულ საქმისათვის, მაგრამ მაინც იმედს არა ვკარგავდით. თუ ვერ დავამთავრებდით განძრახულ საქმეს—ძეგლის დადგმას, დაწყებით მაინც დავიწყებდით. უიმედო, უოცნებო სიცოცხლე, მოგეხსენებათ, ჩირად არა ღირს. რა სიცოცხლეა ის სიცოცხლე, როდესაც სამშობლოს ბედნიერების იმედი ჩაგიქრება გულში და მარტოოდენ იმით სულდგმულობ, რომ დღეს ხომ კარგად გიახელ ერთ ჭიქა არაყს, ნახევარ ბოთლ ღვინოს, ნაჭერ მსუქან დოშს იმერულ ღომით, სალიანის ხიზილალით, რუსულ ბორშჩს წითელის ბადრიჯნით და სხვა-და-სხვა; ხვალაც თუ ეს ულეველად მექნება, ღმერთს მადლობას შევსწირავ ამ სიტყვით: „გმადლობ, უფალო, რათა განმაძღე მე“. სწორედ რომ ფუჭია ასეთი სიცოცხლე!

დიაღ, იმას მოგახსენებდით, გული არ გაგვტეხია და არც იმედი დაგვკარგვია. მართლაც, ნატვრა აგვისრულდა და პირველი ნაბიჯი უკვე გადავსდგით.

ამ გაზაფხულის პირზე, ერთ პატარა კრებაზე კაი ქართველის სახლში სიტყვა ჩამოვარდა რუსთველის ძეგლის შესახებ. დამსწრეთ სიამოვნებით მიიღეს წინადადება—შევაგროვოთ თანხა და საქმეს შევუდგეთო. ყველაზე პირველად ჯიბეს გაიკრა ხელი ილია ზურაბის ძემ გოპაძემ და გადასცა ა. ყიფშიძეს ოცდახუთი მანათი. უკანასკნელმაც ოცდახუთი მანათი გამოიღო და ამ გვარად შესდგა პატარა თანხა, სულ 50 მ. ნივთიერად ღონიერნი ქართველნი უფრო მეტს დაჰპირდნენ საქმის დამწყობს და შეიძლება მალე საკმარისი თანხა შეიკრიბოს. ფული, რასაკვირველია, უნდა ეგზავნებოდეს „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“ შესანახად და სათავნოდ.

არ ვიცი, რამდენი დასჭირდება რუსთაველის ძეგლს, ან ობელისკს. ვსთხოვ ჩვენებურ მექანდაკეთ შეიმუშაონ გეგმა ძეგლისა, ან ობელისკისა და აღნიშნონ ვარაუდით რა დაიხარჯება ფულად. მე ჩემად სრულიად საკმარისად მიმაჩნია მცირე სასყიდლიანი ძეგლი. ეხლა მეტი არ შეგვფერის. როდესაც ჩვენი სამშობლო წელში გასწორდება, გაღონიერდება ნივთიერად და განათლებით, მაშინ იზრუნოს უფრო ძვირფას და რუსთაველის ნიჭის შესაფერ ძეგლზე. ჯერჯერობით პატარაც გვეყოფა.

ვფიქრობ, რომ გულგატეხილი საზოგადოება უგულებელს არა ჰყოფს ამ საქმეს და არ დაიშურებს წვლილს საეროვნო საქმისათვის. ოთხას-ხუთასი თუმანი იმაზე მეტად არ გაგვალარიბებს, რაცა ვართ ახლა. რამდენსა ვხარჯავთ უაზროდ, აქ-კი ერთი მანათიც ნამდვილ საქმეს მოხმარდება. იმედია, „წ. კ. საზოგადოება“ უარს არ იტყვის და მიიღებს ფულს შესანახად, ვინც მოისურვებს და გადასცემს ამ საგნისათვის *).

ჩვენ პირადად კმაყოფილნი ვართ, რომ დიდის ხნის ნატვრა აგვისრულდა და საქმე იწყება. დანარჩენი საზოგადოების გულმხურვალებაზე ჰკიდია.

დასასრულ, შემდეგი უნდა მოვახსენო მკითხველსა. შარშან დაიბეჭდა წიგნი პროფესორის ნ. მარისა, სახელად: „Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи, т. IV“ ბ-ნი მარი სცდილობს დაამტკიცოს ამ გამოკვლევაში, რომ პოემა „თამარიანის“ ავტორი თვით შოთა რუსთაველია და ჩახრუხაძე მისი გვარიაო. მარი აი რას ამბობს რუსთაველის ლექსების ღირსებაზე:

«И такъ, проникновенно выраженное въ чарующе звучныхъ стихахъ національное настроеніе грузинъ XII-го вѣка находитъ не замирающій откликъ въ длинномъ рядѣ поколѣній и продолжаетъ жить и тогда, когда преданъ полному забвенію самъ памятникъ (Тамаріани), содѣйствовавшій популярности въ Грузіи идеализованнаго образа грузинской царицы (Тамары). Храмъ забытъ и запущенъ, но звуки раздававшихся въ немъ близкихъ сердцу пѣснопѣній еще слышны, какъ дальнее эхо. Кто зодчій? Кто былъ такъ народенъ по духу, что въ придворныхъ одахъ далъ невольное выраженіе національно-государственнаго идеала? Кто былъ такъ властенъ надъ роднымъ языкомъ, что въ офиціально-торжественныхъ пѣсняхъ, сложенныхъ для развлеченія блестящаго двора, такъ ярко отразилъ простые, родимые звуки, дорогіе каждому грузину? Если-бы памятникъ (Тамаріани) дошелъ до насъ безъ рукописнаго преданія объ его авторѣ, то едвали бы кто сталъ оспаривать его принадлежность тому безподобному художнику слова, который силой лишь чарующей музыкальности своихъ стиховъ сумѣлъ придать національный грузинскій обликъ персидской переводной повѣсти и сдѣлать ее народнымъ достояніемъ. Я имѣю въ виду Шоту Руставели, автора Барсовой кожи» (გვ. 51).

მეორე ადგილს (გვ. 73) ბ-ნი მარი ასე იხსენიებს შოთას: геніальный грузинскій поэтъ“.

ნ. მარს ემდურის ქართველი საზოგადოება, ჯერ დედანი არ გიპოვნია და რა საბუთით მიგაჩნია ვეფხის-ტყაოსანი ნათარგმნ პოემადაო, მაგრამ ესეთი აზრი პოემაზე არ უშლის პროფესორს დიდად აქოს რუსთველი, რაიცა ზემოდ მოყვანილ ამონაწერიდან ცხადადა სჩანს. მარიც, თავის მხრივ უკიჟინებს ქართველობას: „болѣзненно-острое желаніе видѣть въ поэмѣ цѣликомъ грузинское народно-національное произведеніе“ (გვ. 55).

ა. ფრონელი.

---

*) იხ. „მოამბე“ 1902 წ. № 3. წერილი ა. ფრონელისა „დიდებული მესხეთი“.

*) რამდენიმე მანათი უკვე შეგროვილია რუსთაველის ძეგლისათვის და ინახება «წ. კ. საზოგადოებაში», მხოლოდ გამორკვეული არ არის, სად დაიდგას იგი. ავტ.

მა, რომელიც ამას წინად გაზეთებში იყო გამოცხადებული, თანდათან სისრულეში მოდის: იმ დროს, როცა პორტამ როგორც იყო, მოახერხა საკმაო ჯარის შეყრა ბიტოლიაში, რომელიც ცენტრია დასავლეთ მაკედონიისა და სადაც პირველად იფეთქა აჯანყებამ,—ეხლა აჯანყების ალი სრულიად მოულოდნელად მოედო შავის ზღვის მხარეს, სადაც თითქმის არავითარი სამხედრო ძალა არ არის. უკანასკნელად მიღებულ ცნობებით, აჯანყებამ უნდა იფეთქოს მაკედონიის ჩრდილოეთ აღმოსავლეთ მხარესაც, როდოპის მთების გასწვრივ. ოსმალები საჩქაროდ ჰგზავნიან ჯარს ამ მთების მიდამოთა სიმაგრეების დასაცავად, მაგრამ ყაჩაღთა ბრბონი გადმოდიან ბულგარიის საზღვრებზედ და ოსმალებს თავს ესხმიან ჩრდილოეთით, თუმცა საზღვრებს იცავენ როგორც ბულგარიისა, ისე ოსმალოთა ცარაჯებიც. თუ მართლა ასეთია გეგმა აჯანყებისაო, — შეჰნიშნავს ვენის გაზეთი „Neue Freie Presse“,—საუცხოოდ შედგენილი ყოფილა და განხორციელებაც ადვილი იქნებაო. ეჭვი არაა, ზედ მიწევნით მცოდნენი ყოფილან სამხედრო წეს-რიგისა და კანონებისაო. დასასრულ, გაზეთი დასძენს,—მაშ ვუსურვოთ ბედკრულ მაკედონელთ სრული გამარჯვებაო.

ნარკვევი

ლ. ტოლსტოიზე „ნოვ. ვრ“-ი სწერს სხვათა შორის:

75 წლის ტოლსტოი, არამც თუ თავის სამშობლოს წინაშე, არამედ მთელის ქვეყნიერობის წინაშე ისე სდგას ამ ჟამად როგორც საყოველთაოდ შეწყნარებული გენიოსი სამხატვრო ლიტერატურისა, როგორც ღრმა მოაზრე და მოძღვარი სიმართლისა. თითქმის საზღვარს მიაღწია ღრმა მოხუცებისას, მაგრამ მაინც ძალი მისის აზრისა და შემოქმედობისა არა სუსტდება, არამედ სული მისი იჩენს ისეთს ბუმბერაზობას, რომ რუსეთის ლიტერატურაშიაც და ევროპისაშიაც იგია დღეს ყველას გულთა-მხიდავი, ყველას ფიქრისა და გონების ბატონი, გამომხატველი დღევანდელის დღის ყოვლად ცხოველისა და ნაყოფიერის აღთქმა-სასოებისა. არც ერთ ევროპიელ მწერალს არა ჰქონია იმოდენი მნიშვნელობა მეცხრამეტე საუკუნეში, არ ყოფილა ასეთის უეჭველობით შეწყნარებული არავის პირველობა, მეთაურობა, როგორც ტოლსტოის. ტოლსტოის უახლოვდება ამ მხრივ რამდენადმე ვოლტერი მე-XVIII საუკუნეში, აგრეთვე ბაირონი და ჰიუგო მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს. რუსეთის მწერლებზედ ხომ ლაპარაკიც არ უნდა. არც ერთს მათგანს არ ჰხვდა წილად ასეთი საერთო დიდება არც სიცოცხლით და არც სიკვდილის შემდეგ, როგორიც ჰხვდა ტოლსტოის.

შემდეგ შენიშვნის ავტორი გვიამბობს, რა მადლი მიანიჭა ზეცამ ტოლსტოის, რა შემოქმედობის ტალანტი და რა ღრმა გონება. მისცა; როგორ არ ჩაჰმარხა იგი ქანქარი მიწაში, არამედ მოუარა, აღაყვავა, განაძლიერა გამუდმებულისა და შეუპოვარის თვით-განვითარებით, ადამიანის ცხოვრებისა და სულის განუწყვეტელის შესწავლით, სიმართლის გზათა დაუცხრომელის ძებნით ხელოვნებისა და აზრის სამფლობელოში. სწორედ ტოლსტოიზე ითქმის ის სიტყვები პოეტისა, რომელიც ტოლსტოისთანა ნაყოფიერსა და ნიჭიერზედ ითქვა:

На все отозвался онъ сердцемъ своимъ,
Что проситъ у сердца отвѣта.

თავის დღეში ამისთანა მწერალი არა გვყოლია წარსულში და ეს ბედნიერებაა ჩვენთვისაო.

—

იმავე გაზეთში დაბეჭდილია, რა აზრისაა უცხოელთა მწერლობა ტოლსტოიზედ, როგორ აქებენ და ადიდებენ ტოლსტოის ყველგან განათლებულს ქვეყნებში.

დ. ტოლსტოის გვერდში უყენებენ შოპენჰაურს, ემერსონს და დარვინს იმ მხრივ, რომ იმათსავით დიდი გავლენა აქვს დღევანდელის კაცობრიობის ზნეობაზე. უცხოელთა აზრით, ტოლსტოის დიდი ჭკუა აქვს, დიდად შორს-მჭვრეტი და მეტად შემწყნარებელი იმათი, ვინც სხვანაირად აზროვნებს და არა იმისებურად. შემდეგ მოყვანილია აზრი უცხოელთა იქ გაუბრალოების შესახებ, რომელსაც ეტანება ტოლსტოი. ეგ გაუბრალოება, ეგ ბუნებრივობა არა ჰგავს ჟ. ჟ. რუსოს ბუნების შვილობას, ბუნებისადმი დაბრუნებასაო.

ტოლსტოის პარადოქსებით,—ამბობს ერთი ამერიკელი სწავლული,—შეიძლება დავიწყებულ იქმნას, გარნა მისი უბრალოება, მისი ცხოვრება, სავსე თავგანწირულებით, მისი კეთილ-შობილური აზრები, მისი მაღალი იდეალები უფრო და უფრო მეტს და სასურველს გავლენას იქონიებს რუსეთის განახლებაზედ.

„ივერიის“ ფოსტა

ბათუმი. ნ. ხ—ია. თქვენი ლექსი «სამშობლოს“ არ დაიბეჭდება.

ხტ.—წ—ას. **ელვას.** თქვენი მოწერილი ამბავი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 სექტემბერი.

ბუდაპეშტი. სოციალისტთა მიტინგმა, რომელსაც დაესწრო 35,000 კაცამდე, მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ომი გამოუცხადა დამოუკიდებელთა პარტიას, რადგანაც უკანასკნელმა უარჰყო შეერთებულის მოქმედების წინადადება საყოველთაო ამორჩევის უფლების საშოვნელად.

ვიატკა. არა ჩვეულებრივმა საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ ხაზინამ მისცეს საქონლის გამოსაკვებად 1.186,000 მან. და საზოგადო გლეხთა სამუშაოდ 938,000 მან.

სუმი. დაარსდა სამეურნეო სკოლა.

რიაჟსკი. დაიწყო სამეურნეო გამოფენა.

ორიოლი. გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი სტახოვიჩი გაბედნიერდა და შემდეგი დეპეშა მიიღო ხელმწიფე მემკვიდრისაგან: ვსტოვებ რა ორიოლს საამურის შთაბეჭდილებით, გთხოვთ გადასცეთ ყველა დამსწრე თავად-აზნაურობას, აგრეთვე გამოფენის კომიტეტს ჩემი გულითადი მადლობა წრფელ და გულ-უხვ მიღებისათვის. ხელმოწერილია: „მიხეილი“.

2 სექტემბერი

მოსკოვი. პოდოლსკის ახლოს დაარსდა სასოფლო-სამეურნეო სკოლა შჩაპოვის სახელობაზე. შჩაპოვმა ამ სკოლას უანდერძა 6262 დესეტინა მამული და 100,000 მან. ფული.

პიატიგორსკი. დიდის ამბით დაიწყო მეორე კრება კლიმატოლოგიისა, ბალნეოლოგიისა და ჰიდროლოგიის მოღვაწეთა პრინც ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურგელისა, მიწად-მოქმედების მინისტრისა და კავკასიის მადნის წყალთა დირექტორის თანდასწრებით. კრება იწვევა სწორედ კავკასიის მადნის წყალთა არსებობის ასის წლის თავზე. პარაკლისი გადაიხადა მიტროპოლიტმა ანტონიმ. ერმოლოვმა წარმოსთქვა კრებაზე მშვენიერი სიტყვა: გაძლიერდა, აღყვავდა საქმე კავკასიის მადნის წყალთაო. სამადლობელი დვაწლი იმათი, ვინც კურორტების საკეთილდღეოდ იშრომაო. საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ერმოლოვი; თავმჯდომარედ ლეიბ-ქირურგი პავლოვი. მკურნალნი მრავლად მოვიდნენ. 800 კაცი მკურნალი დაესწრო კრებას. დაიწყო კრებაც და დაიწყო ელექტრონის ტრამვაის ვაგონების მიმოსვლაც.

სტამბოლი. საადმინისტრაციო საბჭომ «Dette publidue»-მ მიანდო თავმჯდომარეს ხელი მოაწეროს ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელთან ერთად ვალების გაერთიანების ოქმს.

ვენა. ძლიერის წვიმების გამო, რკინის გზის მოძრაობა ზალცბურგსა, ტიროლსა და კარინტიას შეწყვეტილია.

ფეცი. სერ გარრი მაკლინმა, მთავარმა ინსტრუქტორმა, 28 აგვისტოს დასტოვა მაროკკო. გაზეთები მის მოულოდნელად წასვლას უცხოეთსა და განსაკუთრებით ინგლისის გავლენისაგან განთავისუფლებას მიაწერენ. სასახლის მკურნალი ინგლისელი წავიდა რამდენისამე კვირის უკან.

ორიოლი. 31 აგვისტოს ორიოლის საარქივო კომისიის კრებას მოეხსენდა ხელმწიფე მემკვიდრის თანხმობა, რომ ხსენებული კომისია მის უავგუსტოესის მფარველობის ქვეშ იქმნა მიღებულიო.

პარიჟი. აქ მოელიან ვიტტეს, რომელიც დაჰყოფს რამდენისამე დღეს და გაემგზავრება ლონდონს. მის მოგზაურობას ოფიციალური ხასიათი არა აქვს.

სტამბოლი. ადრიანოპოლის მეორე სამხედრო ოლქში დაბანაკებულია 65,000 ქვეითი ჯარი, 3000 ცხენოსანი და 342 ზარბაზანი აქვს არტილერიას; სალონიკის მესამე სამხედრო ოლქში სდგას 187,000 ქვეითი ჯარი, 6,600 ცხენოსანი და 786 ზარბაზანი აქვს არტილერიას; მეორე სამხედრო ოლქშია სათადარიგო ჯარი რედიფერის საომარ ფეხზე დაყენებულის ორის ბრიგადისა, რომელიც ჯერ კიდევ საომრად არ არის მოწოდებული და 8 ბატალიონი მცირე აზიის შავის ზღვის პირისა, რომელნიც საომარ ფეხზედ არიან დაყენებულნი, მაგრამ ჯერ ისევ თავიანთ ადგილას სდგანან. ამ სახით, იქ, სადაც აჯანყებაა, ოსმალეთს ჰყავს მეტად რიცხვ-მრავალი ჯარი, რომელიც, თუ რიგიანი წინამძღოლობა ექმნება, სრულად საკმარისია დიდის აჯანყების ჩასაქრობად. —ჩერნოგორიის გარეშე საქმეთა მინისტრი მოვიდა სტამბოლს და თან მოჰყვა ჩერნოგორიის საქმეთა რწმუნებული მატანოვიჩი.

პეტერბურგის ბირჟა აგვისტოს 26

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინში 100 მარკაში	45,92$^1/_2$
პარიჟში 100 ფრანკში	37,52$^1/$
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,27$^1/_2$
ბირჟის დისკონტი	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	99$^1/_2$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	95$^1/_4$ მყიდ.
5% პირ. შინაგ მომგებ. ბილ.1864	443$^3/_4$ წ.
% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335 წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სასახლმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	288$^1/_2$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ· ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	—
აქციები. „ „ „ »	—
„კასპიის ამხანაგობისა.	--
„ ბაქო› ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	187$^1/_2$ წვ. გაყ.

გამოსაღები ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) სათოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) სათოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) სათოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუაღამის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_8$ ნაშუადღევს 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) სათოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევს 5 ს. 51 წ. 2) სათოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.' ტფილისს მოდის ნაშუადღევს 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ. თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუსი 1$^1/_2$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთგზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ.
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 „
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

უკეთუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ელ საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან, 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ყველა
ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 11¹, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim, Meerfeldstrasse, 44.
(50—8)

კოკორი ანუ ანბანი
და პირველი საკითხავი წიგნი,
სახლობაში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის-მიერ, ახლად დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების-მიერ და ისყიდება ამ საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ორი შაურია ვინც ათზე ნაკლებს არ იყიდის, თითო წიგნი მიეცემა 8 კაპეიკად, ვინც ოცობით იყიდის, 7 კაპეიკად დაეთმობა წიგნი.
(6—6—1)

მოკლე დროში დამთავრდება და გამოვა გასაყიდათ ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“
შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი
სურათებით, წინასიტყვაობითა და ვრცელის ლექსიკონით.
წიგნში მოთავსებული იქნება აგრეთვე ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნი იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება შედარებით იაფად.
(5—უ—1)

ქუთაისში
ალექსანდრე კოსტავას
მაღაზიაში
ბულვარის პირდაპირ, სობოროს გვერდით.
იყიდება ყოველგვარი შეკერილი
ევროპიული ტანისამოსები
მაგალითად: პალტოები 10 მანეთიდან 35-მდე, მთელი კოსტიუმები 10 მანეთიდან 35-მდე., საწვიმარი მოსახურავები 70 მანეთიდან 30-მდე. შარვლები, კრახმალიანი პერანგები, ზაპინკები, ტროსტები და ყოველგვარი თეთრეული.
საგანგებოთ გამოვიწერე გამოცდილი გამომჭრელი ევროპიულ ტანისამოსისა და შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ევროპიულის და სამხედრო ტანისამოსებისა, ვყიდი არშინობით სამზღვარ-გარეთულ და რუსულ მატერიებს.
ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრე კოსტავა.
(5—6—3)

მსწრაფლ მბეჭდავი
სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,
რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემინარიის სახლებში;
იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.
სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.
ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 2 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი,